სსიპ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

06/10/2025

N 224

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კონკურსის „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების 2025-2026 წლის წარმოების დაფინანსება“ წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) შექმნის შესახებ

,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის მინისტრის 2025 წლის 26 ივნისის №05/20 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „კონკურსის „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების 2025-2026 წლის წარმოების დაფინანსება“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 1 სექტემბრის №189 ბრძანებისა და „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული 2025 წლის 6 ოქტომბრის №1 ოქმის (რეგისტრ. 1-501) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ეროვნული კინოცენტრი) მიერ 2025 წლის 1 სექტემბრის №189 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების 2025-2026 წლის წარმოების დაფინანსება“ ფარგლებში წარდგენილი განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით, შეიქმნას საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობა (ჟიური) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ქეთევან ჯანელიძე** - კინომცოდნე, პროდიუსერი;

ბ) **მიხეილ მრევლიშვილი** - რეჟისორი;

გ) **რამაზ იოსელიანი** - მსახიობი;

დ) **ია გიგოლაშვილი** - ანიმატორი;

ე) **ერეკლე ფანიაშვილი** - რეჟისორი.

2. კომისიის მდივნად განისაზღვროს ეროვნული კინოცენტრის ფილმწარმოების მხარდაჭერის სამსახურის ფილმწარმოების საორგანიზაციო საკითხთა სპეციალისტი - **სალომე გოფოძე.**

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კომისიის წევრებთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის №64).

მამუკა ბლიაძე

დირექტორი